

გიორგი გეგეჭკორის

გიორგი გეგეჭკორი დაიბადა 1923 წლის 23 თებერვალს თბილისში. მამა - ვლადიმერ გეგეჭკორი მწერალი გახლდათ, დედა - თამარ გელოვანი პედაგოგი. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ქართული კულტურის სხვადასხვა დარგის მოღვაწენი, რომელთა ურთიერთობებსა და საუბრებს გატაცებით უსმენდა პატარა გიორგი. სწორედ მაშინ დაინტერესდა ქართული ხელოვნებით, განსაკუთრებით თეატრით და კითხულობდა ყველაფერს რაც თეატრს შეეხებოდა.

1940 წელს გიორგი გეგეჭკორმა დაამთავრა თბილისის მე-14 საშუალო სკოლა და იმავე წელს სწავლა გააგრძელა თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოღვაწეობდა. გიორგი გეგეჭკორის მიერ განსახიერებული როლების ნუსხა სტუდენტობის წლებში (1942წ.) იწყება სპექტაკლით „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“. მოგვიანებით სპექტაკლში „ცისფერი და ვარდისფერი“ პოლიციელის ეპიზოდური როლი შეასრულა, სადაც მისი პარტნიორები იყვნენ მედეა ჩახავა, სალომე ყანჭელი, ეკატერინე ვანჩაძე. ამ წარმოდგენასთან არის დაკავშირებული მისი პირველი შეხვედრა უდიდეს ხელოვანთან გიორგი ტოვსტონოვთან.

გიორგი გეგეჭკორმა მესამე კურსზე ფილიპოს როლი შეასრულა გოლდონის კომედიაში „საპატარძლო აფიშით“. ამასთანავე მონაწილეობდა უფროსკურსელთა წარმოდგენებში: მეზღვაურის როლი „რღვევაში“, ერნსტ ბივერსის როლი „დრო და კონვეის ოჯახი“. ასევე განასახიერა ფერშლის როლი რეჟისორ მიხეილ გიქიმიერელის სპექტაკლში „ქირურგია“, რომელიც რუსი მწერლის ანტონ ჩეხოვის საიუბილეო საღამოსთვის დაიდგა.

1944 წელს შედგა მისი დებიუტი დიდი სცენაზე გლუმოვის როლით რეჟისორ დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება“(ა. ოსტროვსკი), ხოლო 1945 წელს რეჟისორი გიორგი ტოვსტონოვოვი იწვევს ნილის როლში (მ. გორკის „მდაბიონი“).

გიორგი გეგეჭკორს პირველი ტრიუმფი მოუტანა დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის როლმა (მიხეილ მრეელიშვილის „ბედი მგოსნისა“), რომელზე მუშაობის დროს გამოჩნდა რომ მსახიობს ჩინებულად შეეძლო დაუფლებოდა ისეთი ადამიანის ბუნებას, რომლის ფიქრები და გრძნობები ყოველდღიურობაზე რამდენადმე ამაღლებულია, ჩვეულებრივის ფარგლებს რამდენადმე სცილდება. ათი წელი შეუდარებლად თამაშობდა გიორგი გეგეჭკორი ბარათაშვილის როლს და ათი წელი ცხოვრობდა მსახიობი დიდი მგოსნის ცხოვრებით.

მსახიობის მიერ შესრულებული სასცენო როლებიდან გამორჩეულია: დონ სეზარი (დიუმა ნუა და დაენერის „დონ სეზარ დე ბაზანი“), ჰამლეტი (უ. შექსპირის „ჰამლეტი“), ბახვა ფულავა (გ. წერეთლის „პირველი ნაბიჯი“), ექვთიმე ქათამაძე (კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“), ტოპაზი (პანიოლის „ტოპაზი“), კაცი მანტიით(პ. კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია“), ექიმი სტოკმანი (იბსენის „ექიმი სტოკმანი“), გულიოიანი (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), იავო (უ. შექსპირის „ოტელო“), გლისტერი (უ. შექსპირის „მეფე ლირი“), დემეტრიუსი (უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“).

1970 წელს სეზონის საუკეთესო დადგმაში გიორგი გეგეჭკორის მიერ შეუდარებლად შესრულებული ორი როლია: მოხრობელისა და პლატონ სამანიშვილისა „სამანიშვილის დედინაცვალიში“(დ. კლდიაშვილი). სპექტაკლში მსახიობი ბრწყინვალედ ასრულებდა უადრესად რთულ სამსახიობო პასაჟებს – მოხრობელის როლიდან გადასვლა პლატონ სამანიშვილის სახეში, გაწამებული პლატონის სახიდან განმსჯელ-კომენტატორის ასპექტში, რაც გიორგი გეგეჭკორის პროფესიულ ოსტატობას მოწმობს.

1954 წელს შედგა გიორგი გეგეჭკორის კინოდებიუტი ლევანის როლით ფილმში „ჭრიჭინა“.

გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებაში გამორჩეული მის მიერ შესრულებული კინოროლებია: ვახტანგი („აბუზარა“ ნიკოლოზ სანიშვილი. 1956წ.), ნიკო („ქალის ტვირთი“. ნიკოლოზ

სანიშვილი 1957წ.), ბესარიონი („წარსული ზაფხული“. . წულაია, ნ. ნენოვა 1959წ.), ფარმაცევტი („ვერის უბნის მელოდიები“. გიორგი შენგელაია. 1973წ.), დათიკო („აურზაური სალხინეთში“. ლანა ლოლობერიძე. 1975წ.), ჩაჩიკა („ნატერის ხე“. თენგიზ აბულაძე. 1976წ.), გალაქტიონი („ბაკულებს ღორები“. . რაჭველიშვილი. 1976წ.), სანდრო კარიძე („დათა თუთაშხია“ გიგა ღორთქიფანიძე, გ. გაბესკირია. 1978წ.), ჯანდიერი („ფესვები“. გ. მგელაძე. 1987წ.), ივერთ მონასტრის ბერი („ანთიმოზ ივერიელი“. გ. ჭოხონელიძე. 2001წ.). გიორგი გეგეჭკორმა უკანასკნელი როლი შეასრულა გენო ცაავას ფილმში „6 და 7“ 2003წელს.

გიორგი გეგეჭკორი სტუდენტობიდან მოყოლებული რადიოში კითხულობდა ლექსებს, ზღაპრებს, იგაგ-არაკებს, ქმნიდა საინტერესო სახეებს რადიოდადგემაში. ქართული ტელევიზიის დაარსებიდან მრავალ სატელევიზიო პროექტში მონაწილეობდა. 160-ზე მეტი უცხოური ფილმის მთავარი გმირი გიორგი გეგეჭკორის მიერაა გახმოვანებული.

გიორგი გეგეჭკორი გამოირჩეოდა ქართულ და რუსულ ენაზე დახვეწილი მეტყველებით. უნარით, ზუსტად, ზოგჯერ ფარული ირონიით, გროტესკით, ტრაგიზმითა თუ სევდით გადმოეცა სათქმელი და მიიხნეოდა მხატვრული თუ საავტორო ტექსტის საუკეთესო მკითხველად.

გიორგი გეგეჭკორი 1944 წლიდან თეატრალური საზოგადოებისა და პრეზიდენტიმის წევრია, ხოლო 1955 წლიდან საკავშირო კინემატოგრაფიის კავშირის წევრი.

1958 წელს გიორგი გეგეჭკორს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის, ხოლო 1966წელს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება. გიორგი გეგეჭკორი საქართველოს პრემიების ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერი გახლდათ.

გიორგი გეგეჭკორი გარდაიცვალა 2003 წელს 11 მარტს. დაკრძალულია დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დირექტორ აკაკი ფალავას მიერ გაცემული დახასიათება გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
1944წ. 17 აპრილი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი - აკაკი ფალავა, საქმეთამმართველი - ა. იაგორაშვილი. რუსულ ენაზე. 1 ც.
2. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1944წ. 20 ივლისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
3. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ პოლიკარპე მურდულიას მიმართვა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს ო. ევაძისადმი გიორგი გეგეჭკორის რუსთაველის თეატრის დასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
1944წ. 13 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.
4. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორ ივანე გვინჩიძის ბრძანება გიორგი გეგეჭკორის თეატრიდან გათავისუფლების შესახებ. ერთვის ამონაწერი.
1944წ. 15 ნოემბერი, 16 ნოემბერი. შტამპი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დირექტორის მოადგილე პ. დარახველიძე. საქმეთა მმართველი ე. გურგენიძე. ერთვის ამონაწერი. 2 ც.
5. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს თანხმობა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრისადმი გიორგი გეგეჭკორის დასში ჩარიცხვასთან დაკავშირებით.
1944წ. 29 ნოემბერი შტამპი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: სათეატრო განყოფილების უფროსი შ. კილოსანიძე, კადრების განყოფილების უფროსი ვ. ბალკანსკაია. 1 გვ.
6. გიორგი გეგეჭკორის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის წარჩინებით დასრულების დიპლომი გადაწერილი გიორგი გეგეჭკორის მიერ.

- 1944წ. თბილისი. ხელნაწერი. ასლი. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.
7. აკაკი ხორავას წერილი გიორგი გეგეჭკორისადმი თეატრალურ ცხოვრებაში წარმატებების მიღწევასთან დაკავშირებით.
1947წ. 24 ოქტომბერი. ავტოგრაფი. ფოტოასლი. 1 გვ.
 8. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950წ 11 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. მელანი. ერთვის ბიოგრაფია, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შესრულებული როლების სია. 7 გვ.
 9. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი მოღვაწეობის დახასიათება.
1950წ. 13 ნოემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი ს. ადამია, მთავარი რეჟისორი აკაკი ვასაძე. რუსულ ენაზე. 1 გვ.
 10. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1950წ. 18 ნოემბერი. ავტოგრაფი. მელანი. 2 გვ.
 11. გიორგი გეგეჭკორის ავტობიოგრაფია და 1944-1945 წლებში შესრულებული როლების სია.
1954 წ. 9 აპრილი. ავტოგრაფი. მელანი. 5 გვ.
 12. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1954 წ. 9 აპრილი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ.
 13. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1956 წ. 14 ივნისი. ბლანკი ხელით შევსებული. მელანი. 4 გვ
 14. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1966წ. 25 მაისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. 3 გვ.
 15. საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მიერ გამართულ გიორგი გეგეჭკორის დაბადებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოზე მოსაწვევი ბარათი.
1973წ. 9 აპრილი. დასტამბული. 5 ც.
 16. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული გიორგი გეგეჭკორის დახასიათება.
1977წ. 21 ოქტომბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: დირექტორი აკაკი ბაქრაძე, პარტიზურის მდივანი ა. მანჯგალაძე, ადგილკომის თავმჯდომარე ჯემალ დაღანიძე. ერთვის ასლი. 1 გვ.
 17. სოფელ ლეცავეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლ. წულაიას მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი.
1980წ. 22 აპრილი. ნაბეჭდი. 2 გვ.
 18. გეგეჭკორის რაიონში მსახიობ გიორგი გეგეჭკორის სტუმრობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დღის წესრიგი.
1980წ. ხელნაწერი. 1 გვ.
 19. გეგეჭკორის რაიონში მსახიობ გიორგი გეგეჭკორის სტუმრობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დღის წესრიგი.
1980წ. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.
 20. გეგეჭკორის რაიონში მსახიობ გიორგი გეგეჭკორის სტუმრობასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე მყოფ სტუმართა სია.
1980წ. ნაბეჭდი. ხელნაწერი. 1 გვ.
 21. გეგეჭკორის რაიონის სოფელ საღხინოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე მ. ხუროძის მიერ წარმოთქმული მისალოცი სიტყვა ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 110 წლისთავთან და ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35-ე წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე გიორგი გეგეჭკორისადმი.
1980წ. ხელნაწერი. 3 გვ.
 22. ლეცავეს საშუალო სკოლის დირექტორ საშა ილიას ძე კუხალაშვილის მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.
1980წ. ხელნაწერი. 7 გვ.
 23. გეგეჭკორის რაიონის წარმომადგენლის (?) მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.

- 1980წ. ხელნაწერი. 2 გვ.
24. სალხინოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლის ნანა ბასილაიას მისასაღმებელი სიტყვა გიორგიგეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.
1980წ. ხელნაწერი. 2 გვ.
 25. სალხინოს სკოლა-ინტერნატის მოსწავლის ლელა კალანდიას მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.
1980წ. ხელნაწერი. 2 გვ.
 26. სალხინოს სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ნანი გაგუას მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.
1980წ. ხელნაწერი. 3 გვ.
 27. გეგეჭკორის რაიონის წარმომადგენლის (?) მისასაღმებელი სიტყვა გიორგი გეგეჭკორისადმი მსახიობის სტუმრობასთან დაკავშირებით.
1980წ. ხელნაწერი. 7 გვ.
 28. გიორგი გეგეჭკორის კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1982წ. 8 იანვარი. ბლანკი. ხელით შევსებული. ერთვის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრსა და კინოში 1944-1980 წლებში შესრულებული როლების სია და ფოტო. 7 გვ.
 29. საქართველოს კულტურის მინისტრ ოთარ თაქთაქიშვილის მიმართვა სსრ კულტურის მინისტრ **პ.ნ. დემინგეუსადმი** გიორგი გეგეჭკორის საქართველოს სახალხო არტისტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
 30. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის მიერ გაცემული გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი მოღვაწეობის დახასიათება.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ. (3 ეგზ.)
 31. შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის ადგილკომის მიერ გაცემული დახასიათება. გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.
 32. გიორგი გეგეჭკორის საზოგადოებრივი და შემოქმედებითი საქმიანობის ამსახველი ცნობა.
უთარილო. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.
 33. გიორგი გეგეჭკორის მიერ 1944-1976 წლებში შესრულებული როლების სია.
უთარილო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

მოსაწვევი ბარათები

34. გეგეჭკორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ გამართული გიორგი გეგეჭკორის შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი სადამოს მოსაწვევი ბარათი.
1980წ. 12 აპრილი. დასტამბული. 1 ც.
35. საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირისა და აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გამართული გიორგი გეგეჭკორის მოსაწვევი ბარათი.
1990წ. 6 აპრილი. დასტამბული. 1 ც.

